




# კარგად განვითარებული სგშ და გზშ სისტემის მთავარი ელემენტები: რა არის მნიშვნელოვანი ეფექტიანი პრაქტიკისთვის?

მეთიუ ქემპორი  
UNECE-ს კონსულტანტი  
თბილისი, 26 აპრილი, 2017

# გარემოსდაცვითი შეფასება: გლობალური მოვლენა



# ეფექტური სისტემის ელემენტები

## 1. პროცედურული ჩარჩო:

- კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს გარემოზე ზემოქმედების ძირითადი პროცედურული ელემენტებისთვის და ემყარება სასარგებლო პრაქტიკის საერთაშორისო პრინციპებს:
  - დაკვირვება(სკრინინგი), შერჩევა (სკოპინგი), საბაზისო შესწავლა, ალტერნატივების განხილვა, ზემოქმედების შეფასება და მათი მნიშვნელობის გათვლა, შემცირება, ზედამხედველობა და შემოწმება, საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა.
- მთელ მსოფლიოში გვაქვს სგშ-სა და გზშ-ს 45 წელზე მეტი ხნის პრაქტიკული გამოცდილება. ჩვენთვის გასაგებია პროცედურული მოთხოვნილებები.

# ეფექტური სისტემის ელემენტები

## 2. უწყებები და შესაძლებლობები:

- თანამედროვე სახელმძღვანელოები.
- მომზადებული ადმინისტრატორები და პრაქტიკოსები.
- პასუხისმგებელი და დაინტერესებული სამთავრობო უწყებების სათანადო რესურსით აღჭურვა.
- სამთავრობო სააგენტოებს შორის ეფექტური კოორდინაცია.
- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული უწყებები.
- სწავლის ვალდებულება.

# ფაქტობრივი მაგალითი: გარემოსდაცვითი შეფასების ექსპერტიზის რეგულირება

ევროკავშირის ახალი (გზშ) მოთხოვნა: “გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაში ჩართული ექსპერტები კვალიფიცირებულნი და კომპეტენტურნი უნდა იყვნენ”.

სახელმწიფო აღასრულებს:

- კონსულტანტების აკრედიტაციას.
- ტრენინგების აკრედიტაციას.
- დამოუკიდებელი საბჭოს მიერ კონსულტანტების შერჩევას.

საბაზრო მექანიზმები: მაგ. ინგლისი და უელსი.

- პროფესიული აღიარება – სერტიფიცირებული გარემოს დაცვის სპეციალისტი.
- ხარისხის ნიშანი საკონსულტაციო კომპანიებისთვის.

# ეფექტური სისტემის ელემენტები:

## 3. ხარისხის კონტროლის მკაცრი სისტემა:

- როგორც წესი, ხარისხის კონტროლის მთელი რიგი ღონისძიებებისა მოითხოვება ეფექტური და ეფექტიანი პრაქტიკის მისაღწევად: მაგ.
  - პროცედურების უზრუნველყოფის ღონისძიებები თანმიმდევრულია, პროექტები ძლიერია, ვალდებულებები (მაგ. შემოთავაზებული მონიტორინგი ან შემცირება) შესრულებულია და ა. შ.

# ფაქტობრივი მაგალითი: ხარისხის კონტროლის მექანიზმები (1)

ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები:

- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (UNECE-ს ორჰუსის კონვენცია).
- საჯარო ანგარიშვალდებული განცხადებები: მაგ. რა გავლენა მოახდინა გარემოსდაცვითმა შეფასებამ გადაწყვეტილების მიღებაზე.

პრაქტიკაში გამოყენებული განსხვავებული მოდელები:

- დანია: კომპეტენტური უწყება ახდენს გარემოსდაცვით შეფასებას. „საჯარო პოლიტიკის“ მკაცრად ხაზგასმა.
- ინგლისი და უელსი: საბაზრო მექანიზმები და საჯარო გამოკითხვები.

# ფაქტობრივი მაგალითი: ხარისხის კონტროლის მექანიზმები (2)

ყოვლისმომცველი სამთავრობო დებულებები:

- ნიდერლანდები: „ყოვლისმომცველი პროექტებისთვის და სგშებისთვის მოიცავს:
  - სკოპინგი: NCEA ქმნის კონკრეტულ ექსპერტთა კომისიებს, შემდგარს ყველაზე შესაბამისი დარგების წარმომადგენლებისგან, შერჩევას რჩევების მისაღებად. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტურ სამთავრობო უწყება.
  - EIS ანგარიში: NCEA პასუხისმგებელია EIS მიმოხილვის ხარისხიანად ჩატარებაზე.
- 2010 წლამდე, გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ საჯარო განცხადებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაკონკრეტებული, იყო თუ არა შერჩეული გარემოს მიმართ ყველაზე უფრო დამზოგი ალტერნატივა.



# ეფექტური სისტემის ელემენტები

## 4. პოლიტიკური მხარდაჭერა

- მხარდაჭერა ზემოდან ქვემოთ, გარემოსდაცვითი შეფასების მიზნების მისაღწევად (მდგრადი განვითარება/ზრდა).
- უმნიშვნელოვანესია თუ როგორ მოქმედებს სისტემა პრაქტიკაში:
  - მაგ. არის ის ეფექტურად უზრუნველყოფილი რესურსით?
  - არის თუ არა ტრენინგის ვალდებულება?
  - გადაწყვეტილებათა მიმღებნი ითვალისწინებენ კვლევების შედეგებს სერიოზულად/ითვალისწინებენ მათ დაგეგმვაში?

# რა ახდენს გავლენას ეფექტურობაზე?

## ცხრილი 10

შერჩეული ფაქტორების მნიშვნელობა გზშ-ს წვლილის განსაზღვრისთვის უფრო მდგრადი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მისაღებად (პროცენტულად „ძალიან მნიშვნელოვანი“ და „მნიშვნელოვანი“)

	დანია	ნიდერლანდები	გაერთ. სამეფო
საკანონმდებლო მოთხოვნები	57 %	71 %	75 %
გარემოსდაცვითი შეფასებისთვის ჩატარებული კვლევის ხარისხი (მაგ. მისი ვალიდურობის ან თანმიმდევრულობის თვალსაზრისით)	64 %	69 %	88 %
გზშ პროცესის გამჭვირვალობა	59 %	62 %	80 %
ინიციატორის, ისევე, როგორც კომპეტენტური უწყების ინტერესი გარემოს ფასეულობის მხედველობაში მიღების მიმართ	81 %	58 %	83 %
შემცირების/შერბილების ღონისძიებების ხარჯები	57 %	56 %	69 %
როგორ იქნა გაზიარებული გზშ-ს შედეგები			
შემომთავაზებელს, კომპეტენტურ უწყებასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის	67 %	53 %	80 %
დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა გზშ-ში	46 %	51 %	74 %
რა ხარისხით იყო დაკავშირებული გზშ-ს პროცესი	52 %	89 %	46 %
გადაწყვეტილების მიღების პროცესის დინამიკასთან			
რა ხარისხით იყო პროექტი დამუშავებული გზშ-ს ჩატარებამდე	53 %	44 %	37 %

# ეფექტიანი გარემოსდაცვითი შეფასება

- სკრინინგი: მხოლოდ პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობებისთვის.
- სკოპინგი: ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ გარემოსდაცვითი შეფასებები ხშირად ძალიან ბევრ საკითხებს მოიცავს.
- ალტერნატივები: ორიენტირება რეალისტურ ალტერნატივებზე.
- კოორდინირება კანონმდებლობასა (სგშ-სა და გზშ-ს ჩათვლით) და სამთავრობო სააგენტოებს შორის.
- მონაცემთა გაზიარება.

# ფაქტობრივი მაგალითი: ეფექტურობის შოტლანდიური დებულებები:

- „სგშ კარიბჭე“ აკოორდინირებს პროცესს მთავრობისთვის:
  - მართავს ოფიციალურ მიმოწერას საკონსულტაციო უწყებასთან და უზრუნველყოფს პასუხების დროულ მიღებას (2004-2010 წლებში 99% დროულადაა მიღებული).
  - უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს სგშ ონლაინ მონაცემთა ბაზაში.
  - უწევს ინსტრუქტაჟს.
- სკრინინგი:
  - უმნიშვნელო ზემოქმედების მქონე საქმიანობების წინასწარი სკრინინგის სისტემა.
  - სკრინინგის ნიმუშების მიწოდება.
- სკოპინგი: რეკომენდაცია 2011 წელს სამთავრობო სააგენტოების მხრიდან სკოპინგის ეტაპისადმი მეტი ყურადღების გამახვილება.

# დასკვნები

კარგად განვითარებულ სგშ/გზშ სისტემაში:

- საკანონმდებლო ჩარჩო არის საერთაშორისო მოლოდინების შესაბამისი.
- სგშ/გზშ აღიარებულია, როგორც სტანდარტული პრაქტიკა.
- სგშ-ებისა და გზშ-ების კოორდინირების, ეფექტური ადმინისტრირებისა და გატარებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების ქონა.
- ხარისხი მაღალია და შედეგები მიღებულია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების/გადაწყვეტილებათა მიმღებების მიერ.
- სისტემა მუშაობს გამჭვირვალედ და გადაწყვეტილებათა მიმღებნი ანგარიშვალდებულნი არიან.
- სისტემას მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს.

შეკითხვები ან კომენტარები?